პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 25 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

№ 140 (838) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განეების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მოუარე სახაზინო ქონებას!

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება კორესპონდენცია, რომელიც მოგვითხრობს, რომ ზოგიერთი წითელ არმიელი არ უფრთხილდება სახაზინო ქონებას და ვერ იქცევა ამ მხრივ როგორც წესი და რიგია.

ყოველივე ეს არ შეფერის რევოლიუციის ჯარის კაცს—წითელ არმიელს, რომელიც უნდა იყოს შეგნების და წესრიგის საუკეთესო მაგალითი.

შაშხანა, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ორთვალა თუ სხვა საგანი, რომლითაც სარგებლობს წითელ არმიელი, სახაზინო ქონებას წარმოადგენს. ყველაფერი ეს ნაყიდია მშრომელი ხალხის ფულით.

ამიტომაც მუშების და გლეხების დამცველმა წითელ არმიელმა უნდა მოუფრთხილდეს როგორც თავის იარაღს, ტანსაცმელს, ისე ყველა სახაზინო ნივთს. ამ მხრივ დაუდევრობა და უყურადღებობა ნიშნავს მშრომელთა ხალხისათვის ზიანის მიყენებას. თითეული გაფუჭებული სახაზინო ნივთი, ზედმეტ სიმძიმედ აწვება მუშებს და გლეხებს.

ეს კარგათ უნდა ახსოვდეს წითელ არმიელს და ტერმეკრებაზე გამოცხადებულ ცვალებადელსაც.

მათი პირდაპირ ვალდებულებას შეადგენს კარგად მოუარონ ყოველგვარ სახაზინო ქონებას, სიფრთხილით მოეპყრან მას და არ გააფუჭონ. წითელ არმიელები აგრეთვე მოვალენი არიან დანარჩენებსაც თვალყური ადევნონ ამ მხრივ და თვით ებრძოლონ სახაზინო ნივთებისადმი დაუდევრობის ყოველგვარ შემთხვევას.

ვინც სახაზინო ქონებას არ უფრთხილდება ის ვერ არის რიგიანი წითელ არმიელი. თავისი საქციელით ის ზიანს აყენებს მშრომელ ხალხს, იწვევს რა ზედმეტ ხარჯებს.

ის წითელი არმიელი კი, რომელიც ამას სჩადის ვერ არის ღირსეული დამცველი მუშებისა და გლეხების ინტერესებისა.

ხოლო მშრომელთა ინტერესების დაცვა მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ ფრონტზე წახვიდე და მტერს ებრძოლო, არამედ იმაშიც, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე სცდილობდე დაიცვა მუშის და გლეხის ინტერესი და ფრთხილად იყო, რომ რაიმე უყურადღებობით და დაუდევრობით ზიანი არ მიაყენო მათ. ასეა სახაზინო ქონების მოვლაც. ვინც უფრთხილდება სახაზინო ნივთებს ის ხალხის ინტერესებსაც იცავს. ჩვენმა წითელ არმიელებმა და ახალგაზრდა ტერარმიელებმა ყოველივე ეს კარგად უნდა შეიგნონ და კიდეც პირნათლად უნდა გაატარონ ცხოვრებაში.

## „ბულგარეთის სოციალ-დემოკრატები და ცანკოვის მთავრობა."

(„პრავდა"-ს წერილი.)

ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადმა პასტუხოვმა ერთ-ერთ გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ბულგარეთის ამბები გამოწვეულია ბოლშევიკების მიერ, რომელთა მიზანია საყოველთაო არევ-დარევა, ანარქია და სამოქალაქო ომი გამოიწვიოს მოსკოვის სასარგებლოდ.

პასტუხოვის განცხადებას ეხება გაზეთი „პრავდა" და სხვათა შორის სწერს: „იმ დროს, როცა ბულგარეთის მიწა გაძღა მოკლულთა სისხლით, სოციალ-დემოკრატიის ლიდერი პასტუხოვი სრული პასუხის მგებლობით აცხადებს, რომ ბულგარეთის ამბები გამოწვეულია ბოლშევიკური აგიტაციით, რომელსაც ზურგს უმაგრებს მოსკოვი.

მოსკოვის ინტერესს არც კი შეადგენს ცანკოვის ჩამოგდება; მისი მიზანია საერთო არევ-დარევის გამოწვევა ბულგარეთში.

ამაში არის თავისი ლოღიკა და მიზანი. პასტუხოვმა იცის, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია ნიადაგს შინჯავდა, შეიძლება თუ არა როგორმე ჩავახშოთ საბჭოთა ქვეყანაო. პასტუხოვმა იცის, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია ყოველთვის ამზადებდა ასეთ „ნაბიჯს" და აშინებდა ყველა ქვეყნების „ობივატელებს" ხმებით ანარქიის შესახებ, რომელიც მოაქვს ბოლშევიკებსო.

პასტუხოვი ტაშს უკრავს ცანკოვს, მოწყალებით უყურებს კომუნისტების გვამებს და საზიზღარი დაცინვით ასმენს ბოლშევიკებზე.

მაგრამ უფრო საზიზღარია პასტუხოვის პოზიცია თავისი ქვეყნის მუშებისა და გლეხებისადმი.

ბულგარეთის სოციალ დემოკრატები აღიარებენ, რომ არა ცანკოვის მთავრობაა დამნაშავე ბულგარეთში მომხდარ ამბებში.—„ყველაფერში დამნაშავეა კომუნისტები"—„გლეხებისა და კომუნისტების ერთიანი ფრონტის გამარჯვება გააუარესებდა ბულგარეთის მდგომარეობას".

სხვანაირად: ცანკოვი არაფერ შუაშია—დამნაშავეა მუშები და გლეხები.

სოციალ დემოკრატიას იშვიათად ულაპარაკია ასეთი აშკარა კონტრრევოლიუციონური ენით.

სოციალ-დემოკრატია იშვიათად აძლევდა თავს ნებას ასე ცინიკურად და აშკარად ემსახურა ჯალათებთან.

საჭიროა მართლაც „აზრის ფიზიკური უნამუსობა", რომ მთელი ქვეყნის წინაშე გამოხვიდე ისე, როგორც ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიის ბელადი,—პასტუხოვი."

# ახალი რადიო-ამბები

## თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთში.

### გენერალ ჩჟან-სუ ლიანმა შეიყვანა ჯარი შანხაიში და გამოაცხადა საალყო წესები.

მდგომარეობა გონკონგში თანდათან უარესდება.

იაპონია ცდილობს კერძოდ შეუთანხმდეს ჩინეთს.

### საალყო წესები შანხაიში.

გენერალ ჩჟან—სუ—ლიანმა (მარშალ ჩჟან—ძო—ლინის შვილია) შეიყვანა ჯარები შანხაიში და გამოაცხადა საალყო წესები, აკრძალა მიტინგები, დემონსტრაციები და სიტყვებით გამოსვლა ქუჩებში.

ჩჟან—სუ—ლიანი და გენერალილუ—იუი—სიანი(ცზიან—ცსურს გუბერნატორი) თათბირობენ ჩჟან—ძო—ლინთან საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

### იაპონია ცდილობს ცალკე შეთანხმებას ჩინეთთან.



იოშიზავა

იაპონიის რწმუნებულმა პეკინში იოშიზავამ იაპონიის გაზეთ ების კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ საკითხები რომლებიც წამოიჭრა იაპონიის ქარხნებში შანხაიში მალე მოგვარებული იქნებაო. იოშიზავამ ხაზი გაუსვა, რომ ვინაიდან ეს საკითხი განსაკუთრებული ხასიათისაა, მოლაპარაკება აღარ იწარმოებს დიპლომატიურ კორპუსთანო.

ეს ამტკიცებს, რომ იაპონია ცდილობს, ცალკე შეთანხმებას, ჩინეთთან, თუმცა გარეგნულად იცავს ერთიან ფრონტს ინგლისთან.

### მდგომარეობა გონკონგში მწვავდება.

გონკონგში მდგომარეობა უარესდება. ქუჩებს იცავს პოლიციელებისა და სამხედრო გაძლიერებული რაზმები. მთავრობა მოუწოდებს მცხოვრებლებს წესრიგისაკენ, აღუთქვამს დაცვას და ჰპირდება 2.000 დოლარს „სადარაჯოზე დაღუპულთა ოჯახებს".

## კარახანის საუბარი იაპონიის გაზეთის თანამშრომელთან.

იაპონიის გავლენიან გაზეთის „ოსაკა მაინიჩის" თანამშრომელთან საუბარში კარახანმა განაცხადა:

„გაზეთები ავრცელებენ ყალბ ცნობებს, თითქოს საბჭოთა კავშირი ხელს უწყობდეს შანხაის მღელვარებას. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს ხმები უსაფუძვლოა.

მღელვარების მიზეზია თვით უცხოელ სახელმწიფოების პოლიტიკა ჩინეთის მიმართ. ეს პოლიტიკა შეცვლილ უნდა იქნას, თუ რომ სურთ ნორმალური ურთიერთობა ჩინეთთან.

დიპლომატიური კორპუსის თათბირი მე არ მომიწვევია და მას (დიპლომატიურ კორპუსს) არავითარი დამოკიდებულება არ აქვს შანხაის ამბებთან".

## მაროკოს გარემოება.

### საუბარი აბდ-ელ-ქერიმთან.

„დეილი ტელეგრაფში" გამოქვეყნებულია აბდ-ელ-ქერიმის განცხადება „ჩიკაგო ტრიბუნის" კორესპონდენტთან. აბდ-ელ-ქერიმმა განაცხადა: „ჩვენ მოვითხოვთ რიფფის ძველი საზღვრების აღდგენას, მაგრამ მზად ვართ შემდეგში შევცვალოთ ეს საზღვრები. მე არას დროს არ მქონდა განზრახვა ფიცის აღების, მაროკას სულთანობის გახდომისა ან ხალიფატობის." შემდეგ მან მიუთითა, რომ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ბევრი შეურაცხყოფა მიაყენა რიფებს საფრანგეთის წარმომადგენლებმა.

დასასრულ აბდ-ელ-ქერიმა განაცხადა: „საზღვრების საკითხს დღეს იარაღი გადასჭრის," მაგრამ შემდეგ დაუმატა, „რომ ის მზადაა გაარჩიოს საფრანგეთთან ერთად ზავის საკითხი".

## საფრანგეთის სოციალისტების უმეტესობა პენლევეს მთავრობის წინააღმდეგია.

საფრანგეთის პალატის სოციალისტურ ფრაქციებში იდგა საკითხი თუ რა პოზიციაზე უნდა დამდგარიყვნენ სოციალისტური პარტიები მთავრობის მიმხრობის საკითხში. სოციალისტების უმეტესობამ უარყო მთავრობისადმი დახმარება.

## მხოლოდ საბჭოთა კავშირი თუ უშველის მდგომარეობას.

23 ივნისს ინგლისის სამთო-მადნო ფედერაციის დელეგაცია, რომელშიაც შედიან კუკი და პროფკავშირთა სხვა წარმომადგენლები, მოლაპარაკება ჰქონდა ბალდუინსა და სხვა მინისტრებთან ქვანახშირის მრეწველობის კრიზისისა და უმუშევრობის გარშემო.

როგორც უმუშევრობასთან ბრძოლის საშუალება დელეგაციამ ურჩია მთავრობას მოლაპარაკების სასწრაფოდ განახლება საბჭოთა კავშირთან და სავაჭრო ურთიერთობის წახალისება მასთან შეღავათების საშუალებით და სხვა. დელეგაციამ მიუთითა, რომ ინგლისის საგარეო ვაჭრობის აღდგენა შეუძლებელია, სანამ საბჭოთა კავშირი არ იქნება მიღებული ევროპის სხვა ერთა შორისო.

იტყობინებიან, რომ ბალდუინმა გაურკვეველი პასუხი მისცა.

## პროტესტის რეზოლიუცია იმპერიალისტების ძალადობის წინაალმდეგ.

მაროკოსა და ჩინეთის ამბებმა აღშფოთება გამოიწვია აზერბაიჯანის მუშებში.

მიტინგებზე გამოტანილ იქნა პროტესტის რეზოლიუციები იმპერიალისტების პოლიტიკის წინაალმდეგ.

განზრახულია შეწირულების დაგროვება იმპერიალისტების პოლიტიკის მსხვერპლთა სასარგებლოდ.

## უბრძოლველად

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ვახაბიტების რაზმებმა უეცრად დასტოვეს პოზიციები და უბრძოლველად დაიხიეს მექას მიმართულებით.

## სკანდალი საფრანგეთის პალატაში.

**სიმართლე არ ესიამოვნათ.**

საფრანგეთის პალატაში კომუნისტ დორიომ დაახასიათა საბჭოთა კავშირის კულტურულ მიღწევათა უპირატესობა დასავლეთის კაპიტალისტურ ცივილიზაციასთან შედარებით. დორიოს სიტყვის დროს პოლკოვნიკი პიკო გავარდა ტრიბუნაზე და დაეტაკა დორიოს. დეპუტატებმა ისინი გააშველეს.

პალატის თავმჯდომარემ ერიომ დახურა სხდომა.

## ბულგარელ კომუნისტების პროცესი.

სოფიაში განახლდა ბულგარეთის კომუნისტების პროცესი.

ბრალდებულმა კაჰაკჩიევმა განაცხადა, რომ პარტიის ცეკას დაჭერამდე არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანია შეიარაღებულ აჯანყების შესახებ. კომპარტია მუშაობდა ლეგალურად და არალეგალური ორგანიზაციის მოწყობა მას განზრახული ჰქონდა უკიდურეს შემთხვევაში.

## საბჭოთა კავშირში

### ეინშტეინი აპირობს ლენინგრადში ჩამოსვლას.

ბერლინიდან დაბრუნდა აკადემიკოსი სტეკლოვი, რომელმაც როსტას თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა, რომ მან ინახულა გამოჩენილი სწავლული ეინშტეინი, რომელიც მისულა ბერლინში სამხრეთ-ამერიკიდან. ეინშტეინმა განაცხადა რომ ის მოვა საბჭოთა კავშირში სამეცნიერო აკადემიის საიუბილეო დღესასწაულზე.

ეინშტეინთან ერთად მოვლენ გერმანიის სხვა სწავლულებიც.

## დღეს ლენინგრადში მოელიან იტალიის ესკადრას.

ლენინგრადში ჩავიდა იტალიის საელჩოსთან მყოფი საზღვაო ატაშე, იტალიის ესკადრის შესახვედრად.

ესკადრის ჩამოსვლას ის დიდ მნიშვნელობას მიაწერს საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის მეგობრული კავშირის განმტკიცების საქმეში.

ესკადრა დარჩება ლენინგრადში სამი დღე.

ესკადრა გამოვიდა კოპენჰაგენიდან 24 ივნისს.

## უკრაინის საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება.

მუშათა გლეხთა ინსპექციამ დაასრულა უკრაინის საბჭოთა დაწესებულებათა პირადი შემადგენლობის გადასინჯვა 113.000 თანამშრომლიდან დათხოვნილ იქნა 12.250 კაცი. მოსამსახურეთა შორის აღმოჩნდა ყოფილი ჟანდარმები, პოლიციელები, მემამულეები, მსხვილი მესაკუთრეები და სხვა. გადასინჯვამ საგრძნობლად გააჯანსაღა საბჭოთა აპარატი.

## საბჭოთა ამიერ-კავკასიაში

### კერძო მრეწველთა წინაალმდეგ.

კერძო მრეწველთა მიერ მუშათა მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის გამო, ნავთის კუსტარული წესით ამომღებ მუშებმა გაფიცვები გამოაცხადეს.

### ბანდიტები.

ლენქორანის მაზრის განაპირად გამოჩნდა ბანდიტები, რომლებიც თავს ესხმიან მცხოვრებთ და იტაცებენ საქონლებს. მიღებულია ზომები მათ წინაალმდეგ.

## სამხედრო საქმე განაკში.

**ტერარმიელის სამხედრო მომზადება.**

ახალწვეულთა შეკრება წარმატებით ჩატარდება არა მარტო იმით, რომ კარგად მოწყობილი სამეცადინეო წერტები და კარგად დამუშავებული სწავლების პროგრამები გვქონდეს; წარმატება ბევრად დამოკიდებულია თვით მეთაურთა შემადგენლობის მომზადებაზე, თუ როგორ შეუძლია მას აუხსნას და განუმარტოს ძირითადი ამოცანები ცვალებად-არმიელებს, თუ როგორ უნდა დაიცვან დისციპლინა, როგორ უნდა ეპყროთ თავი ყაზარმაში, მეცადინეობაზე, ქუჩაში და სხვა.

აი ეს, პირველ შეხედვით მეთაურთა შემადგენლობის უმნიშვნელო ვალდებულება, მნიშვნელოვანი რამაა სწავლების საქმეში.

1902 წელში დაბადებულ ახალწვეულთა მეცადინეობის პროგრამა დიდია, ხოლო დრო ცოტა. აქედან გამომდინარეობს შემდეგი საკითხი: როგორ უნდა მიუდგე ტერარმიელს, რომ ენერგიისა და დროს (ცოტა) დახარჯვით დიდ შედეგებს მიაღწიო.

გამოსავალი ერთია: მეთაურთა შემადგენლობა ეხლავე უნდა გაეცნოს წინასწარ და დაამუშაოს მთელი სამთვიანი პროგრამა, შეადგინოს მეცადინეობის დღიური ნუსხა და მის მიხედვით აწარმოოს მეცადინეობა. ამ ნუსხაში თვითეულმა ინსტრუქტორმა უნდა გაითვალისწინოს ის საკითხები, რომლებიც დამუშავებულ უნდა იქნას გზადაგზა.

ასეთი საკითხებია: ნაწილის შინაური წესრიგი, თუ როგორ უნდა ეპყროს მეომარს თავი სამხედრო სამსახურში, როგორ უნდა მოუაროს იარაღს და დაიცვას სახალხო ქონება, და სხვა საკითხები, რომლებსაც შეიძლება არ დაეთმოს ცალკე დრო.

მეთაურთა შემადგენლობას შეიძლება დაებადოს ასეთი საკითხი: „ლაპარაკი ადვილია, მაგრამ როგორ უნდა გატარდეს ეს პრაქტიკულად?"

ამაზე შეიძლება უპასუხოთ: უნდა შეისწავლო გადაცემისა და აღზრდის ხერხი; ამიტომ საჭიროა იცნობდე თავის მეომრებს, მათი მომზადების დონეს, მიდრეკილებასა და სხვა. მაგალითისთვის ავიღოთ ასეთი შემთხვევა ყოველდღიურ მეცადინეობიდან: სწარმოებს თოფის დამიზნება დაზგიდან: დაზგასთან სდგას ტერარმიელთა ჯგუფი—სამი-ოთხი კაცი და ინსტრუქტორი. მეორე ადგილზე სწარმოებს სხვა მეცადინეობა. და აი განთავისუფლდა მეომარი თოფის ხელმიშვერ დამიზნების სწავლებისაგან და მიდის დაზგასთან; მივიდა დაზგასთან არა ისე, როგორც გათვალისწინებულია წესდებაში და როგორც უნდა მივიდეს მეომარი უფროსთან.

ინსტრუქტორმა უნდა ისარგებლოს შემთხვევით და აუხსნას მეომარს წესდების მოთხოვნილების მნიშვნელობა, აჩვენოს ტერარმიელს თუ როგორ უნდა მისულიყო და სხვა.

ასეთი ახსნისა და ჩვენების შემდეგ უნდა გაამეორებინოს თვით მეომრებს და ამის შემდეგ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსგავს შეცდომას არას დროს არ გაიმეორებს მეომარი.

ამრიგად გზადაგზა შეიძლება შევასწავლოთ მეომარს ის, თუ როგორ უნდა ეპყროს თავი სამსახურში,

ი. ბარ.

## 1925-26 წ.წ. მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

(დასასრული)

მთავარი დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ იქნა გამოშვებული საკავშირო ცაკის მიერ ა. წ. 7 მაისს. ეს დეკრეტი ბევრად არ განსხვავდება შარშანდელისგან. ახალში მხოლოდ იქნა შეტანილი შესწორებები დეკრეტის იმ მუხლში, რომელნიც გლეხების მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებდნენ.

ასე მაგ. ძველი დეკრეტის ძალით გადასახადის განაკვეთი ცხადდებოდა შემოდგომაზე მოსავლიანობის მიხედვით. ახალი დეკრეტის ძალით გადასახადის გამოცხადება უნდა მოხდეს გაზაფხულზე, აღრიცხვასთან ერთად და ერთჯერ გამოცხადებული უნდა დარჩეს უცვლელად მთელ საგადასახადო წლის განმავლობაში. გადასახადის გამოანგარიშება უნდა მოხდეს თვითეულ რაიონების საშუალო მოსავლიანობის მიხედვით.

ამის შემდეგ გლეხი წინასწარ იქნება გაცნობილი თუ რამდენი მოუწევს მას გადასახადი და რა დროს უნდა უკანასკნელი შეიტანოს და მის და მიხედვით მას მიეცემა საშვალება წარმართოს თავის მეურნეობა. იმ შემთხვევაში თუ მას შემოდგომაზე კარგი მოსავალი მოუვიდა, გადასახადის რაოდენობა მაინც უცვლელად რჩება. ცუდ მოსავლიანობის შემთხვევაში კი გლეხს, ახალი დეკრეტის მიხედვით არ წაერთმევა ქონება გადასახადის დასაფარავად, არამედ მიეცემა მას საშვალება გადაიხადოს თავისი ვალი შემდეგ წლებში თუ მაშინ კარგ მოსავალს ექნება ადგილი.

გადასახადისაგან სრულიად თავისუფლდება ახალი ბაღები, ხილის და ვენახები ოთხი წლის განმავლობაში მათი გაშენებისა.

აგრეთვე თავისუფლდებიან გადასახადისაგან ლტოლვილები ხუთი წლის განმავლობაში დღიდან მათი ჩასახლებისა.

ის მეურნეობა, რომელიც დაზარალდა სტიქიურ უბედურების გამო ან სრულიად თავისუფლდება გადასახადიდან ან ნაწილობრივ, როგორც ამას დაადგენს სათანადო საგადასახადო კომისია.

განსაკუთრებული შეღავათები იმ ოჯახებს, რომლის ეძლევა წევრები იმყოფებიან სამსახურში წითელ არმიაში. ეს შეღავათები ვრცელდება როგორც ძველ, ისე 1925 წ. გაწვეულ წითელ არმიელებზე.

წითელ არმიის უფროს-შემადგენლობის პირნი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის დროს ჩაითვლებიან ორ მჭამელად, ხოლო უნცროსს მეთაურები (ვადის გარეშე მოსამსახურეები)—სამ მჭამელად.

ძირითად ნაწილების რიგის წითელ-არმიელებს შემდეგი შეღავათები ეძლევათ:

1. თუ მათ ოჯახში არ ყავთ სამუშაო საქონელი ისინი სრულიად თავისუფლდებიან გადასახადისგან.
2. თუ სულზე არა უმეტეს 3 მეოთხედი დესეტინისა მოუწევს და ამავე დროს ოჯახში არ აღმოჩნდება არც ერთი შრომის უნარის მქონე პირი, ასეთი ოჯახები აგრეთვე თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისგან.
3. თუ ოჯახში იქნება შრომის უნარის მქონე პირი და თვითეულ სულზე მოუდის არა უმეტესი დესეტინის 3 მეოთხედი მიწა, ასეთი ოჯახი იხდის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნახევარს.
4. თუ წითელ არმიელის ოჯახს თვითეულ წევრზე მოდის არა უმეტეს 1 დესეტინა და ერთი მერვედი მიწისა, ოჯახის წევრები კი მოკლებულნი არიან შრომის უნარს, მაშინ ისინი იხდიან აგრეთვე გადასახადის ნახევარს.
5. დანარჩენ შემთხვევებში წითელ არმიელთა ოჯახები იხდიან გადასახადის ერთ მეოთხედს.

ის მეურნეობა, რომლის შემადგენლობაში შედის ტერნაწილის ცვალებადი შემადგენლობის პირნი და არიან გაწვეული შეკრების ჩასატარებლად, სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ერთი თვით ვადის გაგრძელებით, მის შემდეგ რაც აღნიშნული პირი დაბრუნდა სწავლების და შეკრებისგან და ამასთანავე ჯარიმა („პენია") ამ ხნის განმავლობაში არ ჩაეთვლება.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ვხედავთ წითელ არმიაში მყოფი პირთ მნიშვნელოვანი შეღავათები ეძლევათ. საჭიროა, რომ ამ შეღავათებით სავსებით ისარგებლონ ჩვენ ნაწილებში მყოფ წითელ-არმიელებმა და უფროს შემადგენლობის პირებმა. ამისათვის პირველ რიგში უნდა დაურიგდეს მათ და გადაიგზავნოს სადაც ჯერ არს განსაკუთრებულ ამ მიზნისათვის დამზადებული მოწმობები. ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეუძლიათ ნაწილის საკავშირო კომისიებს, თუ ისინი იქნებიან თავის მოწოდების სიმაღლეზე.

ი. რუდოვსკი.

## სამხედრო ქიმია.

### ქიმიური ცოდნის შესახებ.

კარგი საბრძოლო მუშაობა ან გაზით თავდასხმისაგან თავდაცვის მოწყობა მშვიდობიან მცხოვრებთა შორის ეს კიდევ ვერ არის მთელი ის სარგებლობა, რის მოტანაც შეუძლია მეომარს წითელ არმიაში მიღებულ თავისი ცოდნით.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოქალაქე—მეომარი იმავე დროს მოქალაქე — მხვნელ — მთესველიცაა; ის წითელ არმიიდან მოკლე დროში წავა და დაუბრუნდება თავის მშვიდობიან შრომას.

აქ მას კვლავ მოუხდება ბრძოლა და მასთან იმავე სამხედრო-ქიმიურ საშუალებებით, რომლებიც მან შეისწავლა წითელ არმიაში. მას მოუხდება ბრძოლა აგრეთვე მეურნეობის მავნებლების: კალიების, თაგვებისა და სხვათა წინაალმდეგ. ამ მტრებთან ნაყოფიერი ბრძოლა შეიძლება მხოლოდ ქიმიურ იარაღების საშუალებით.

მაგრამ იმავე დროს უნდა მოეხმაროს მეურნეობის დაცვაში მეზობელ გლეხსაც: ეს ყოველი შეგნებული მოქალაქის მოვალეობა და იმავე დროს აუცილებელი საჭიროებაა, ვინაიდან შეუძლებელია მხოლოდ შენი მინდვრის დაცვა მავნებლებისაგან, თუ სხვისი მინდვრები სავსე იქნება მავნებლებით.

მაშასადამე აქაც, წითელი არმიიდან დაბრუნებული მეომარი უნდა გახდეს მავნებლებთან ბრძოლის მასწავლებელი, ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. ამრიგად მეომრის სამხედრო—ქიმიური ცოდნა დიდ სარგებლობას მოუტანს მეომარსა და მის თანამესოფლეებს. წიგნებიდან წაკითხულზე უკეთესად გლეხები შეითვისებენ და მიხვდებიან ზეპირად მოთხრობილსა და ახსნილს, მით უფრო იმ კაცისაგან, რომელსაც შეუძენია ქიმიური ცოდნა, უნახავს სხვადასხვა ქიმიური საშუალება და შეუძლია მათი გამოყენება.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მეომრის ქიმიურ ცოდნას იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც ეს ცოდნა მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ხასიათის იყოს.

მაგრამ ყოველი მეომარი წითელ არმიაში ყოფნის დროს ისმენს და კითხულობს იმის შესახებ, რომ ქიმიური ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნის მშვიდობიან აღმშენებლობისათვის.

მაგრამ არამც თუ მხოლოდ ესმის, სწავლობს კიდეც, თუ როგორ გააფართოვოს და გამოიყენოს ეს ცოდნა. ამიტომ საჭიროა განვიხილოდ ამ ცოდნათა სარგებლობა.

ლ. ვორონოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცვალებადელნის პირველი დღეები წითელ ყაზარმაში

## ჩვენი საქმიანობა ცვალებადელთა შორის.

6-ხე ლეგიონი.

ცვალებადელთა მიღების შემდეგ ლეგიონი შეუდგა მათი მეცადინეობის საქმეს. ამხანაგები განაწილებული იქნენ ასეულებში, რის შემდეგ გამომუშავებულ იქნა სათანადო გეგმა—სადაც მეთაურთა შემადგენლობა თავთავიანთ ასეულებში სხვა და სხვა ეროვნებების წარმომადგენლებზე ანგარიშის გაწევით ეწევიან მუშაობას სხვა და სხვა მეთოდიურ საშუალებების გამოძებნისათვის, რაც ამ უახლოეს ხანებში სასურველათ მოგვარდება.

პოლიტ-მეცადინეობისათვის ცვალებადთა მთელი შემადგენლობის ცოდნის ხარისხის გამოსარკვევათ, ასეულების მიხედვით დანიშნულ იქნა კომისიები. რომლებმაც წარმატებით დაასრულეს თავისი მუშაობა.

ცოდნა განვითარების მიხედვით ისინი დანაწილებული იქნენ ჯგუფებათ. გამოყოფილი იქნა იქ უცოდინართა ჯგუფი ზედმეტ საათებში სამეცადინოთ.

ამ ჟამად ჯგუფთა ხელმძღვანელებს შორის სწარმოებს თათბირები, სათანადო პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლათ.

ცვალებად შემადგენლობათა შორის მოხდა პარტიულების სრული აღრიცხვა, რის შემდეგ მოწვეულ იქნა მათი საერთო კრება და სათანადოახსნა განმარტების შემდეგ, ასეულების მიხედვით ჩამოყალიბებულ იქნა კომუჯრედები და პარტამხანაგების წევრების შემადგენლობაც სრული პროპორციის დაცვით მიმაგრებულ იქნა თვითეულ კომუჯრედზე.

ვიმედოვნებთ მეტი ყურადღებით და გაორკეცებული ენერგიით შეუდგებიან ისინი საქმიანობასდა ხელს შეუწყობენ სულ მოკლე ხანში სხვა და სხვადარგებში მუშაობის გამოცოცხლებას.

ვ. ლორთქიფანიძე.

## ცვალებადელთა პატივსაცემი საზეიმო საღამო.

6 ხე ლეგიონის 3 მე ათასეული.

ცვალებადელების შეკრების აღსანიშნავად 20 ივნისს ადგილობრივ ლეგიონის კლუბში გაიმართა საზეიმო საღამო. პირველად წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები და შემდეგ კი ათასეულის საკუთარი ძალებით წარმოდგენილი იქნა პიესა „ძველი და ახალი“ ყაზარმა. წარმოდგენას ცვალებადელების გარდა დაესწრენ მათი ახლობელი ნაცნობები. საღამოზე მოწვეული იქნენ ადგილობრივი დაწესებულებები საპატიო ბილეთებით, სამწუხაროდ ამ მიპატიჟებას ძლიერ ცოტანი გამოეხმაურნენ, რაც არა მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. ახლად მოსულ არმიელებისადმი მეტი ყურადღება არის საჭირო და ამას შემდეგში მაინც უნდა გაეწიოს ანგარიში.

ათასეულის დრამ წრეს განზრახული აქვს ხშირად გამართოს წარმოდგენები, მოაწყოს პოლიტ და სხვა ხასიათის გასამართლებები ინსცენიროვკები და სხვა.

სამხკორი დ. ჭ—ძე.

## ტერშეკრებაზე.

(მე-6-ე ლეგ. მე-3 ე ასეული)

(გაგრძელება.)

საშინელი პაპანაქება სიცხე სდგას. ორმოცდა თორმეტი ვერსი გზა გვიდევს წინ ფეხით გასავლელი. თითო საათის მგზავრობის შემდეგ ვისვენებთ. საღამომდი აუცილებლად სოფ. ნატახტარში უნდა ჩავიდეთ, სადაც ღამეს გავათევთ და დილით ადრე გაუდგებით გზას...

საღამოს შვიდი საათია. ასეული ისვენებს სოფ. ნატახტარის სკოლის შენობაში. ადგილობრივი მცხოვრებლები აღტაცებით გვეგებება. რამოდენიმე წუთის შემდეგ მთელი სოფლის ახლო მცხოვრებლებმა თავი მოიყარეს სკოლის წინ და გაიმართა მხიარული სიმღერა და ცეკვა-თამაში. აქ არის ყველა; დიდი და პატარა ქალი და კაცი. დაღლილობა, დაავიწყდათ ჩვენს ახალწვეულებს. ზოგი მათგანი გვერდზე გამდგარა და საუბრობენ თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე, ზოგი კი შეერთებია მოცეკვავე ჯგუფს და მხიარულად უვლის ლეკურს. ეჯიბრებიან ადგილობრივ ახალგაზრდობას ცეკვა თამაშში და სიმღერაში.

— ძალიან მოქანცული კი ვარ, მაგრამ სანამდი არ დავდალავ, თავს არ დავანებებ— ამბობს ახალწვეული სეხნიაშვილი, რომელიც სწრაფად უვლის წრეს ადგილობრივ ქალიშვილთან ერთად.

— ნეტავი თქვენ შვილებო— ამბობს ერთი მოხუცი დედაკაცი—ჩემი შვილი სალდათად რუსეთში წაიყვანეს და გერმანიის ფრონტზე მოკლეს, თქვენ კი ბედნიერები ხართ, აგერ იმსახურებთ ქალაქში. თქვენი დედას ყოველთვის შეეძლება ჩამოვიდეს და განახოს. მე კი ოთხი წლის უნახავი შვილი მომიკლეს დაამთავრა ცრემლ-მორეულმა დედაკაცმა. ახალწვეულებში სიბრალული გამოიწვია დედაკაცის მდგომარეობამ.

შუაღამის 12 საათია. სკოლის შენობაში ტკბილ ძილს მისცემიან ახალწვეულები. ბნელა.

ირგვლივ სიჩუმე... უეცრად მყუდროება დაარღვია მახლობელ სოფლიდან გასროლილმა თოფის ხმამ, რასაც მოყვა ხანგრძლივი სტვენა. მთელი ასეული ფეხზე დადგა.

სასწრაფოდ გაგზავნილი იქნა ოთხი შეიარაღებული წითელი მოლაშქრე იმ მხარისაკენ საიდანაც თოფის ხმა და სტვენა მოისმოდა. მათ და ბრუნებისას გადმოგვცეს, რომ მგელს ბატკანი მოეტაცნა და მილიციელს თოფი ესროლა მისთვის.

ასათიანი.

## ჩვენი ცვალებადელები.

2 რე ტერ. საკავშირო ასეული.

ჩვენს ასეულზე მიწერილი იყო სულ ათ პროცენტიანი დამატებით 71 კაცი. 19 ივნისს ასეულში გამოცხადებული იყო 50 კაცი. დანარჩენი 21-ს ყოველ წუთს მოველოდით. ახკომკავშირელთა და პარტკანდიდატების საერთო რიცხვიდან გამოცხადდა 98 პროც.

განათლების მხრივ ჩვენი ცვალებადელები შემდეგნაირად განიყოფებიან. გამოცხადებულებიდან 27 კაცი წერა-კითხვის მცირე მცოდნეა, დანარჩენები კი კარგად მცოდნე და ზოგიერთი საშუალო ცოდნისაც კი. სოციალური მდგომარეობა, 70 პროც. გლეხებია, სხვა მოსამსახურენი და მუშები.

ახალწვეულებში დიდი მიდრეკილებაა მუშაობისადმი.

ნაწილი ტეხნიკურად უზრუნველყოფილია 60 პროც. როგორც მაგალითად ტანსაცმელი, ჩაის კრუშკები, სადილისათვის ჯამები და სხვა.

პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის მეცადინეობა ნაწილობრივად უკვე დაიწყო ცვალებადელებთან. ამხანაგებს ამ თავითვე ეტყობათ თუ როგორი ერთგული დამცველი იქნებიან სამხედრო დისციპლინის და წესების.

საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ნაწილის ცვალებადელთა შორის არ არის დაცული სისუფთავე. მთავარ მიზეზად ჩაითვლება აბანოს უქონლობა, რაც სასწრაფოთ უნდა მოგვარდეს.

სამხკორი ტრანსპორტი.

# ჩვენი ნაწილები ბანაკში.

## ბანაკში.

საკლუბო მუშაობა მეთაურთა სკოლაში.

საბანაკო სხვა მუშაობათა შორის—საკლუბო მუშაობაც უკვე გაჩაღებულია და სამხედრო სკოლები ერთი მეორეს ეჯიბრებიან!

ქართველ მეთაურთა სკოლაში, „სასოფლოდ“ მზადებისა და სპეციალურ საკლუბო დადგმების გარდა სწარმოებს „წითელი კუთხის“ (ლენინის კარავის) მასიური მუშაობა, რომელიც შინა ყოფა-ცხოვრების ინსცენიროვკებში გამოიხატება...

ამას რა თქმა უნდა, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თვითეული კურსანტის საკუთარ შემოქმედებას ყოველთვის უნდა გადახედვა და გასალაშინება.

ყოველი კურსანტი ნიჭიერია ამა თუ იმ დარგში, ამა თუ იმ მხატვრულ—საკლუბო მუშაობაში, მაგრამ მათ საკმაო მომზადება არა აქვთ... ლიტერატურას სუსტად იცნობენ და სამწუხაროდ, ამ დარგში მეცადინეობაც არა სწარმოებს!..

ამიტომ სწორი და მიზან-შეწონილი ხელმძღვანელობა კურსანტთათვის აუცილებელია.

უამისოდ—უამრავ შეცდომებთან გვექნება საქმე.

თვითმოქმედება დიდი საშუალებაა ადამიანის პიროვნების ჩამოსაყალიბებლად, ხოლო აუცილებლად უნდა გაუფრთხილდეთ, რომ თვითმოქმედება—„წყლის ნაყვად“ არ გადიქცეს და სულ ახალ ახალ სამუშაოსთან გვქონდეს საქმე. უნდა ვერიდოთ წამბაძველობასაც.

ოცდა მეერთე სკოლის საკლუბო მუშაობა უფრო გამართულია. მათ საკლუბო მუშაობის სხვა ფორმათა შორის „პეტრუშკაც“ მოაწყვეს. ტიკინების (კუკლების) მეტად გასართობ თამაშში ფრიად საყურადღებო პოლიტიკური შინაარსის ამბებს ათავსებენ.

ტიკინები გამოხატავენ შესაფერ კონტრრევოლიუციონურ ტიპებს... ლაპარაკი და გათამაშება ხდება კურსანტთა მიერ.

ოცდა მეერთე სკოლელები ასე „საოხუნჯო“ მასალებით და აზიური ცეკვა-თამაშით სოფლელებსაც უმასპინძლდებიან ალლუმის (მანევრების) დროს...

სომხების სკოლამ ამ დღეებში მოაწყო „წიგნის საღამო“ და „წიგნის მავნებლის“ გასამართლება, რომელსაც პოლიტ-შემადგენლობა ხელმძღვანელობდა.

მაყურებელმა ახალგაზრდობამაც ცხოველე მონაწილეობა მიიღო!

აღერბეიჯანის სკოლას მსუბუქი კომედიები უყვარს, თუმცა ამ დღეებში დასდგეს სერიოზული პიესაც „კოოპერაცია“.

ადერბეიჯანის სკოლის კლუბი (ისე, როგორც ქართველ მეთაურთა სკოლის კლუბიც) შარშან უკეთ მუშაობდა!..

ბანაკის საზაფხულო (დიდი) თეატრი შარშან ქართვ. მეთაურთა სკოლის ხელში იყო და ყველა ნაწილები სარგებლობდენ... წელს რკინის გზის ბათალიონს აულია. თეატრი უკვე მზად არის და ამ დღეებში გაიხსნება!..

აზრად აქვთ-პირველად „ინტერნაციონალური საღამო“ გაუშვან.

სამხკორი ჩვენი.

## სამხკორთა შორის.

პირველი ლეგიონის მეორე ასეული.

17 ივნისს მეორე ასეულის სამხკორთა წრემ დაიწყო მეცადინეობა. როგორც ეს პირველ ცდას ჩვენს ასეულში, მეცადინეობას ცოტა წევრები დაესწრო. წრის ხელმძღვანელმა გაგვაცნო ახალ სამხკორების როლი და მისი დანიშნულება. სამხკორები დაკვირვებით უსმენდენ ხელმძღვანელს. გარჩეულ და ახსნილი იქნა გაზეთ წითელ არმიელის რედაქციის მიერ გამოცემული ბროშიურა სამხკორთა მუშაობაზე.

ხელმძღვანელმა გვასწავლა თუ რა მიზანი უნდა ქონდეს სამხკორს, როდესაც ის წერილს წერს, რას უნდა მიაქციოს მან ყურადღება და სხვა.

წრემ გადასწყვიტა კვირაში ორჯერ მოაწყოს მეცადინეობა და წევრთა რიცხვი გაადიდოს. პირველ მეცადინეობამ ჩვენ წაგვახალისა და ვეცდებით ამხანაგის დარიგება პირნათლად შევასრულოთ.

ახალწვეული კალისტრატე მინდიაშვილი.

## მოგვაცილეთ ღორები.

პირველი ლეგ. სასადილოს გამგის საყურადღებოთ.

ჩვენს ლეგიონში მეთაურთა შემადგენლობისათვის კარგა ხანია დაარსებულია სასადილო. სიმართლე უნდა ითქვას სასადილო მშვენივრად აკმაყოფილებს მეთაურთა მოთხოვნილებას. სადილები შედარებით იაფ ფასებში და მშვენიერი მზადდება. ჭურჭლეულობაც სუფთა და ყოველთვის საკმაოდ მოიპოვება, მაგრამ ყველა ამ სიკეთეს ერთვის ის გარემოება, რომ სასადილოში თავი ვერ დაგვიცავს ღორებისაგან. სადილობის დროს და მანამდეც სასადილოში თავისუფლად შამოდიან ღორები და ხშირად ზოგიერთებს პურსაც კი სტაცებენ.

რა გასჭირდა, რომ წინ აღუდგეს გათამამებულ ღორებს?

საჭიროა სასადილოს გამგემ მიიღოს ზომები და გვიხსნას მათგან.

მხედარი მუსტაფა.

## სახაზინო ქონებას მოვლა უნდა

პირვ. ლეგ. სამნეო გუნდი.

ამ გუნდში წითელ არმიელები ძლიერ გაუფრთხილებლად ექცევიან სახაზინო ქონებას.

მაგალითად, ხშირად დაინახავ სამნეო ნაწილის წითელ არმიელს, რომ ფეხსაცმელებ გაუხდელი წამოწვება თავის ლოგინზე და სრულიად არ ერიდება იმას რომ, ლოგინი ჭუჭყიანდება, მტვერი ეყრება, რომელიც შემდეგ ისევ მათ უნდა ჩაისუნთქონ და ამას გარდა იხევა, ცვდება სახაზინო ქონება.

ეს ქვეშ საგები, ჩვენთვის არავის უჩუქნია; მას ვხმარობთ მანამ, სანამ ყაზარმაში ვიმყოფებით. შემდეგ კი სხვამ უნდა მოიხმაროს.

საჭიროა ეს შეითვისონ ამ ამხანაგებმა და მეტი სიფრთხილით მოეკიდონ და მოუარონ სახალხო ქონებას. ამას მოითხოვს ჩვენი სახელმწიფოსი, ხალხის და საკუთრივ თვით წითელ არმიელების ჯანმრთელობის ინტერესები.

სამნეო გუნდის უფროს მართებს მეტი ყურადღებით მოეკიდოს თავისი არმიელების აღზრდის საქმეს.

სამხკორი გეზი.

## საცვლებს ვერგვი რეცხავენ.

პირვ. საარტ. ლეგიონი.

ხსენებული ლეგიონის სკოლის კურსანტთა საცვლები ყოველთვის თბილისში იგზავნება გასარეცხად. სამწუხაროდ ძლიერ ნაკლებ ყურადღება ექცევა მათი გასუფთავების საქმეს.

ტყვილა ჯაფას ვეწევით თეთრეულის მოტანაში, ისევ ჭუჭყიანი და გამოუხარშავი გვიბრუნდება უკან.

საჭიროა, ვისაც ეს შეეხება, ყურადღება მიაქციოს და აიძულოს მრეცხავები თეთრეულის კარგად გასუფთავებაში, თორემ ჭუჭყისაგან თავს ვერ ვიხსნით.

სამხკორი ბაშელი.

## მიაქციეთ ყურადღება.

პირველი ლეგიონი.

7 ივნისს საზამთრო ყაზარმაში დარჩენილმა მეორე ასეულმა მოაწყო კვირაობა. ლეგიონის ეზოები, ირგვლივ ქუჩები და ახლად გაშენებული ბაღი ეზოში ახალწვეულებმა სრულიად გაანთავისუფლა ქვებისაგან და სხვა უსუფთაობისაგან. ბაღში მიწა გადმოაბრუნეს და უვარგისი დამტვრეული აგურები ერთ ადგილას მოაგროვეს. ამ ჟამად ეხლა ქუჩებშიდაც და ეზოშიდაც არის მოგროვილი გადასაყრელი ნაგავი, მაგრამ არავინა ყავს პატრონი. მოგროვილი ნაგავი კი თანდათან იშლება და ისევ იფანტება. მოგვეცით საბარგულები რომ ნაგავი მოვაცილოთ ლეგიონს.

სამხკორი მათრახი.

## ჩვენი შემოქმედებანი.

„წითელი მოკავშირე“ (პირვ. საკავშირო ასეულის ორგანო). საბანაკოდ გასვლის შემდეგ ასეულში ამ უკანასკნელ ხანებამდე ვერ შესძლეს კედლის გაზეთის გამოშვება. რედკოლეგიამ საჭიროდ დაინახა თვით სახელწოდებაც გამოეცვალა ჩვენი ორგანოსათვის. გაზეთის პირველი ნომერი ბანაკში მოგვევლინა „წითელი საკავშიროელის“ სახელწოდებით.

არა თუ ჩვენი ნაწილის არმიელები, არამედ სხვა ნაწილებიდანაც მოდიოდენ ამხანაგები და დიდი სიამოვნებით კითხულობდენ მას.

ერთის მხრივ მათ იზიდავდა გაზეთის გარეგნული სიმშვენიერე და შემდეგ კი მისი შინაარსი, რომელიც უმთავრესად შეეხება სოფლად მუშაობას, დაახლოებას გლეხობასთან და სხვა. ამის გარდა გაზეთში მოთავსებულია წერილები ასეულის ცხოვრების შესახებ, იუმორი და ფოსტა.

საერთოდ გაზეთი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ კარგი იქნება თუ სარედაქციო კოლეგია უფრო დაწურავს მასალებს და შემდეგში გაცილებით მდიდარ ნომერს მოგვაწვდის ვიდრე ეხლა.

სამხედრო ვ. ვანელი.

## ხელოვნება.

### სანიტგანათლება წითელ-არმიელებში.

წარსული სათეატრო სეზონის განმავლობაში ტფილისში მუშაობდა სანიტარული განათლების თეატრი რომელიც დგამდა სანიტარული და რევოლიუციონური ხასიათის პიესებს უმთავრესად წითელ-არმიელებისა და მუშებისათვის. სულ დაიდგა 32 წარმოდგენა. ყოველ წარმოდგენას ესწრებოდა არა ნაკლებ სამასი წითელ-არმიელისა.

ყოველი წარმოდგენის წინ გამოდიოდენ ექიმები მართავდენ საუბრებს ჰიგიენის შესახებ. საუბრებში ცხოველ მონაწილეობას ღებულობდნენ დამსწრენი სხვა და სხვა საკითხებზე შეკითხვების შეტანით.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული თეატრის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ჩვენი სოფლისათვის, რადგანაც იქ ღებულობენ ერთგვარ საზოგადო განათლებას ჩვენი წითელ-არმიელები, რომლებიც სოფელს უნდა დაუბრუნდნენ და რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ სოფლად ახალი ყოფა—ცხოვრების დამკვიდრებას.

მხოლოდ საჭიროა აქვე აღვნიშნოთ საქმის დაყენების სუსტი მხარეებიც. პირველ ყოვლისა სანიტ. თეატრის ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ პიესების შერჩევას და რეპერტუარს. საუბედუროთ ქართული დრამატურგია ღარიბია ამნაირი პიესებით, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფრის დადგმა შეიძლებოდეს.

წარმოდგენებში მონაწილეობას ღებულობდნენ დამსახ. მსახიობი ელ. ჩერქეზიშვილი, ანკარა, მარგო და სხვა ვაჟთა პერსონალიდან დამს. მსახიობი გამყრელიძე, ბალანჩივაძე, ადამიძე, ილორელი, წერეთელი და სხვანი.

საჭიროა მომავალი სეზონისათვის სამზადისს სანიტ. თეატრიც თავის დროზე შეუდგეს.

დ.

## უცხოეთის არმიებში.

### ჩეხო-სლავია.

**კულტგანათლება.**

ჩეხო სლავიის არმიაში დიდი ყურადღება ექცევა ჯარის კულტურული განათლების საქმეს.

ძირითადი ჯარის ნაწილების ჯარის კაცებისათვის გახსნილია უცხო ენების და მიწადმოქმედების შესასწავლი კურსები. ამ კურსებმა დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიტანა. მაგალითად, დიდ გარნიზონებში 1924 წლის განმავლობაში დაარსებული იქნა 71 ჩეხური ენის სასწავლებელი (უფრო კურსები), რომლებშიდაც მეცადინეობს 4153 კაცი. ეს კურსები ემსახურებიან როგორც ჩეხ ჯარის კაცებს, ისე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომლებმაც უნდა შეისწავლონ ჩეხური ენა.

მეორე მხრივ დაარსებული იქნა აგრეთვე 16 გერმანული სასწავლებელი, რომელმაც მიიზიდა 721 ჯარის კაცი. ამავე პერიოდის განმავლობაში მიწად-მოქმედების კურსებს ყავდა 1568 მსმენელი.

**სამხედრო გეოგრაფიული ინსტიტუტი.**

თავდაცვის სამინისტრო ამთავრებს სამხედრო გეოგრაფიული ინსტიტუტის აგებას. ამ დაწესებულებას დაკავებული ექნება 4000 კვადრატიული მეტრი; ის მოწყობილი იქნება ყოველ მხრივად და ევროპაში არსებულ ასეთი ხასიათის ინსტიტუტებზე გაცილებით უფრო მდიდარი იქნება, თავისი ფოტოგრაფიული და კარტოგრაფიული სურათებით.

ინსტიტუტის აშენება და სრული მოწყობა ჯდება 40 მილიონი კრონი.

## ამბები სოფლებიდან.

**ბაზრობა თელავში.**

თელავის მაზრის ადგილობრ. მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა, ყოფილ კოლელიშვილისეულ ეზოში, თელავში მოაწყოს საკვირაო ბაზრობა.

**თემალმასკომებთან.**

ზუგდიდის ალმასკომმა დაადგინა ყველა თემალმასკომებთან დაარსოს სხვადასხვა კომისიები ალმასკომების მუშაობის გასაცხოველებლად.

**სამასწავლებლო კურსები.**

ბორჩალოს ალმასკომმა გადასწყვიტა თურქ მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების კურსი განსაზღვროს ოთხი თვით.

**ახალი საავადმყოფო.**

ბორჩალოს სამალმასკომის მეთაურობით ქალ. ლიუქსემბურგში არსდება ვენეროლოგიური კაბინეტი საწოლებით.

**დასასვენებელი სახლის შესაკეთებლად.**

ახალციხის ალმასკომმა გადასდო 250 მან. ალმასკომის დასასვენებელ სახლის შესაკეთებლად აბასთუმანში.

## ახალი ამბები.

— **ქ. ტფილისისა და მისი** მიდამოების კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 3 ივლისიდან სად. ნავთლუღიდან აღმოსავლეთით ბაქოსა და კახ. რკ. გზების ხაზებს შორის იწარმოებს ჯავშნოსან დივიზიონის № 1 მიერ ტყვიის მფრქვეველთა სასწავლო სროლა.

— **ნიკოლოზისეული ოქროს** ფულის შესყიდვა უკვე შეწყდა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში.

— **წრომის ტაძრის დასაცავად**, რომელიც აგებულია მერვე საუკუნეში და რომელშიაც არის საკაცობრიო ისტორიულ მნიშვნელობის მხატვრობა და მოზაიკა, განათლების სახ. კომისარიატმა მიავლინა თავისი წარმომადგენელი.

— **ბინების აგება.** მუშათა საბინაო აღმშენ. კომიტეტმა დაადგინა ქუთაისში ააგოს საქსოვი ქარხნის და რკინის გზელ მუშებისათვის ბინები.

— **ქალები პროფკავშირებში.** უკანასკნელი ცნობებით პროფკავშირებში გაერთიანებულია 20 ათასი ქალი.

— **ტირიფონის ველი.** ტირიფონის ველზე მორწყულ იქნება 30 ათასი დესეტინა მიწა, რომელზედაც დაითესება ჭარხალი და კარტოფილი.

— **შრომის კოლექტივები.** ამჟამად მთელ საქართველოში ირიცხება 48 შრომის კოლექტივი, სადაც მუშაობს ათასზე მეტი უმუშევარი.

— **ახალი რონოდები.** ტრამვაის სახელოსნოებში შეუდგნენ ტრამვაის მისაბმელ ახალ რონოდების კეთებას.

— **უპატრონო სახლები.** ტფ. ალმასკომმა სასამართლოში აღძრა საქმე 52 უპატრონო სახლების ცნობის შესახებ.

— **აბანოების შეკეთება.** ტფ. ალმასკომმა გადასწყვიტა შეაკეთოს 2 ქალაქის აბანო.

— **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა გამრეკლიძის წიგნი „სამხედრო ქიმია.“

## ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. ქარცივაძის გამოწვევისა ვიწერ ყოველთვიურად გაზეთ „წითელ არმიელი“-ს ქალ. დუშეთის სამკითხველოსათვის და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ქალ. დუშეთიდან:

1. დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს ამხ. პეტრე გეთიას, 2. დამზღვევ სალაროს ბუჰგალტერს ამხ. რეზო კორინთელს, 3. მაზრ-ალმასკომის სამეურნეო განყოფილების გამგეს ამხ. ვანო იორდანიშვილს, 4. მაზრ მილიციის უფროსის მოადგილეს ამხ. თედო დუნდუას. 5. სამაზრო პარტკომის ინსტრუქტორს ამხ. გრიშა მანდენოვს.

იმედია ზემო აღნიშნული ამხანაგები გამოეხმაურებიან ჩემს გამოწვევას და გამოიწერენ ყოველ თვიურად გაზეთ „წითელ არმიელს“

სერგო ავალოვი.

## ვის აქვს საწინაამდეგო.

1-ლ. ქართ. მსრ. ლეგიონის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიაში კანდიდატებად შემოსვლის შესახებ ჩვენი სკოლის შემდეგ წ. მოლაშქრეებს: 1. სიდამონიძე იასონ (ა. ლ. კ. კ. წ.), 2. დიდებაშვილი იასონ (უპარტიო), 3. მენაბდე ვასილი (ალ. კ. კ. წ.), 4. ჯაფარიძე პავლე (უპარტიო) 5. ბერიზაშვილი იოსები (ახ. ლ. კ. კ. წ.) 6. კოკაია გირიგოლი (უპარტიო) 7. ინაშვილი ნიკოლოზი (უპარტიო) 8. გუჯაბიძე დავითი (უპარტიო) 9. ბედოევი ნიკოლოზი (უპარტიო). გთხოვთ თუ ვისმეს გაქვს რაიმე საწინაამდეგო ხსენებულ პირების შესახებ გვაცნობეთ წერილობით ან სიტყვით 27 ივნისამდე შემდეგი მისამართით:

ქ. თბილისი 1-ლი ქართული მსროლელი ლეგიონის სკოლის კომ-უჯრედს.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. მახლობელს.** თქვენი წერილი „ასეთი საქციელი არ გამოდგება“, არ გამოდგა.

**ამხ. წ. არმ. № 5.** თქვენი კორესპონდენცია 2-რე ლეგიონის სკოლის ცხოვრების შესახებ არ გამოდგა. სწერეთ თუ რა კეთდება არსებითად.

**ამხ. ო—შვილს.** წერილი „ნაკლს გამოსწორება უნდა“ გადაეგზავნა დივიზიის პოლიტგანყოფილებას.

**ამხ. ღელესპირელს.** შენიშვნა „კიდევ უყურადღებობა“ არ გამოდგა, არ დაიბეჭდება.

**ამხ. მნახველს.** წერილი „ზოგიერთი მეთაურები საქმეს აფერხებენ“, გადაეგზავნა ლეგიონის შტაბს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.


## განცხადებები

25 ივნისს, დილის 10 საათზე კავკასიის წითელ დროშოვან არმიის საოლქო სასურსათო ბაზის საწყობში (პეტრე—პავლეს ქუჩა № 18, საინტენდანტო „გოროდოკი“) გაიმართება ზეპირი სავაჭრო შეჯიბრება: იყიდება სავარგისი შვრია წონით 1840 ფუთი და უვარგისი ხის ყუთები („იაშჩიკები“).

კ. წ. დ. ა. სასურსათო ბაზის უფროსი

კატეიუკი.

21—20.


## ჯანმრთელობის კუთხე.

### წითელ არმიელთათვის ცნობები ჯანმრთელობის შესახებ.

(გაგრძელება)

ჩვენი სოფლის გლეხებს რომ კითხოთ: რათ გახდა შენი შვილი ავადაო გიპასუხებს: „თვალი ჰკრა“ ამა და ამან, ან და „ღვთის ნებაა, ცოდვილები ვართ და ღმერთი გვსჯის“-ო. ამგვარადვე ფიქრობდნენ ყველგან იქამდისინ ვიდრე მეცნიერებამ ფარდა არ ახადა ამ საიდუმლოებას, და არ გამოამჟღავნა, თუ რისგან წარმოსდგება ავადმყოფობა.

ყველა თქვენგანმა იცის თუ რა არის გამადიდებელი შუშა. უნახავს თუ როგორ ადიდებს იგი საგანს, როცა მასში ვიხედებით.

რასაკვირველია, რომ თუ რამოდენიმე გამადიდებელ შუშას, ერთი ერთმანეთს შევუერთებთ მაშინ საგანი უფრო მეტად გადიდდება, და დავინახავთ იმას, რასაც თვალით ან ერთი გამადიდებელი შუშით ვერ ვხედავთ. ამ გვარად გაკეთებულ იარაღს ქვიან მიკროსკოპი.

ავიღოთ წყლის წვეთი რომელიმე გუბიდან. თვალად წყლის წვეთი გამჭვირვალეა, სუფთაა, მაგრამ აბა მოვათავსოდ იგი მიკროსკოპში და ისე გავსინჯოთ; ვნახავთ მაშინ რომ მასში ცხოვრება დუღს და გადმოდის. იგი სავსეა უთვალავი პაწაწკინა ცოცხალი არსებებით. ესენი დარბიან სხვა და სხვა მხრივ. ზოგი საჭმლის ძებნაშია, ზოგი თავისზედ უფრო დიდ ცხოველს გაურბის, რომელიც მის შესანსლას ლამობს, ზოგი ეძებს უფრო გაშუქებულ ადგილს, ზოგი უფრო დაჩრდილულს; ყველა მათგანი მოძრაობაშია, ცხოვრობს თავისი საკუთარი ცხოვრებით, ყველას თავისი საქმე აქვს. ამგვარ თვალით დაუნახავს ცხოველებს დაარქვეს მიკრობები—ბაქტერიები. ესენი მრავლად ცხოვრობენ წყალში, ჰაერში, მიწაში, ზღვაში და გუბეში, ღრუბელში, მტვერში, ადამიანის და ცხოველების ტანზედ, მათს პირში, ნაწლავებში, მცენარეებზედ, აყროლებულ მძოვრზედ, ერთი სიტყვით ყველგან სადაც კი მათ შეუძლიათ საზრდოს შოვნა. საზრდოს შოვნა კი მათ შეუძლიათ ყველა ზემოდ ჩამოთვლილ საგნებზედ.

**რას წარმოადგენს მიკრობები?**

ყველა თქვენგანმა იცის როგორიც არის კვერცხის ცილა. ეხლა წარმოიდგინეთ ამ კვერცხის ცილის სულ პაწაწკინა ნაწილი, რომელიც მოძრაობს, იკვებება, მრავლდება, კვდება, და თქვენთვის გასაგები იქნება თუ რა არის მიკრობი. იგი სხვა და სხვა ფორმისაა. ზოგი მათგანი მრგვალია ბურთივით, ზოგი გრძელია და წვრილი ჩხირივით, ზოგი მოკაუჭებული, ზოგი ჭახრაკივით დაგრეხილი. ისინი ხან ერთად შეერთებულები ჯგუფად იმყოფებიან, როგორც კარგი მეგობრები, ხან ცალ-ცალკე თითქოს გაბუტულები არიანო.

როგორც სხვა ყველა ცოცხალი არსებები მიკრობებიც მრავლდებიან. მათი გამრავლება ხდება ან თესლით, ან უბრალო გაყოფით. ერთი მიკრობი გაიყოფა ორად, მერმე ერთმანეთს დაშორდებიან და ამგვარად ერთი ცხოველიდან მივიღებთ ორს ცხოველს. გამრავლება ხდება იშვიათი სისწრაფით. ერთი ბაქტერია, ხელი რომ არაფერმა შეუშალოს, დღე ნახევარში ისე გამრავლდება, რომ მისი ჩამომავლობა ერთად მოგროვილი 40 ვედრიან ბოჩკაში არ ჩაეტევა. თუ თქვენ მოიგონებთ რომ ერთ წვეთ წყალში ასი ათასობით ითვლება ბაქტერიები, თქვენთვის ადვილი წარმოსადგენი იქნება თუ რა საშინელი სისწრაფით უნდა მრავლდებოდეს იგი.

როგორც ყველა სხვა ცოცხალ არსებას მიკრობებსაც სჭირიათ წყალი, სითბო და საჭმელი. სიმშრალე, დიდი სიცხე, ან დიდი სიცივე ისევე ცუდათ მოქმედებს მათზედ, როგორც სხვა ყველა ცოცხალ არსებაზედ. საჭმლის შოვნა მათთვის ადვილია—საკმარისი მოიპოვება ყველგან. სითბო მათთვის ყველაზედ უკეთესია 36-37 გრადუსი. ამაზე მეტი ან ამაზე ნაკლები, მათზე უკვე ცუდათ მოქმედობს. წყლის adუღება ჰკლავს ყველა ბაქტერიებს, რომლებიც კი მოყვებიან მასში. დიდი სიცივისაგან იგინი გაითოშებიან, მაგრამ თუ გავათბეთ ისევ გაცოცხლდებიან. ასევე საჭიროა მათთვის წყალი. სიმშრალე მათ ღუპავს. ყველაზედ ძლიერი და დაუნდობელი მათი მტერი არის მზის სხივები, რომელიც მათ შეუბრალებლათ ხოცავს სულ მცირე ხნის განმავლობაში. ბაქტერიებში ბევრი ჯიში ადამიანისთვის სასარგებლოა და უიმათოდ ადამიანის ცხოვრება ვერ მოეწყობოდა ისე როგორც ეხლაა. ყველა თქვენგანმა იცის თუ რა არის ცომის გაფუება, რძის მაწონად შედედება, ღვინის დუღილი. ყველაფერი ეს ხდება ბაქტერიების შემწეობით. არიან ბაქტერიები, რომლებიც აპოხიერებენ მიწას. მაგრამ გარდა ამ უჩინარ მეგობრების, ადამიანს ყავს აგრეთვე უჩინარი მტრებიც. აი ეს უჩინარი მტრებია, რომლებიც იწვევენ ავადმყოფობას, და რომელთა ნახვაც შეიძლება ყველა ავადმყოფის ან სისხლში, ან ნახველში, ან შარდში, ან განავალში, და რომელთა გადატანა ჯანმრთელ ადამიანზედ გამოიწვევს იმავე ავადმყოფობას.

(გაგრძელება იქნება)

ექიმი ა. გარსიაშვილი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3.